№ 239, შაბათი, 28 ივნისი. 1896—1897 შაბათი, 28 ივნისი, № 239.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

პირველ ივნისიდგან გაზეთი

წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ოთხი |4| მანათი.

ტფილისის საოლქო სასამართლოს გარდაწყვეტილებით, რომელიც მოხდა 6—7 მაისს ამ 1897 წლისა, დადგენილია: იმ უძრავ მამულზედ, რომელიც დარჩა ტფილისის მოქალაქის გრიგოლ იოსების ძის მარტიევის გარდაცვალების შემდგომ, **კანონიერ მემკვიდრედ ცნობილ იქმნენ სანახევროდ არტემ იოსების ძე მარტიევი, მოსე და ასტვაცატურა ხუჯანის ძენი მარტიევნი და ქვრივი გარდაცვალებულისა სოფიო გრიგოლის ასული მარტიევისა შვიდეულ ნაწილში** ყოველსავე უძრავ ქონებაში.

(3—3)

რუსულ-ქართული

ლექსიკონი

თ. სახოკიასი

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.

(8—2)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

26 ივნისი.

კონსტანტინეპოლი. ელჩების უკანასკნელ კითხვაზედ ოსმალეთის მიერ მიცემულს პასუხს დიდი მნიშვნელობა არა აქვს-რა: იქ მოხსენებულია მხოლოდ, რომ ოსმალეთს ჯერ არ გარდაუწყვეტია, როგორ მოიქცეს მომავალში. სრულიად უსაფუძვლოა ის ხმები, ვითომ მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკება მოისპოს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. წარმოთქმულ იქმნა ის აზრი, რომ ბერლინის კონგრესზედ მოლაპარაკების საქმე უფრო კარგად მიდიოდა. ამაზედ სოლსბერიმ სთქვა, რომ მაშინ საქმეთა ვითარება უფრო საფრთხილო იყო. რუსეთის დიდ-ძალი ჯარი კონსტანტინეპოლთან იდგა და თითოეული სიტყვა ბისმარკისა, რომ ეს ჯარი წინ წაიწევსო, ძლიერ აშინებდა ოსმალეთის რწმუნებულთ. ეხლანდელმა მოლაპარაკებამ რომ ამდენ ხანს გასტანა, ეს მხოლოდ ოსმალეთის ბრალია, სხვა სახელმწიფონი ყველაფერში ერთმანერთს ეთანხმებიან. თუ იმასაც გავიხსენებთ, რამდენად განსხვავდება ეხლანდელი ვითარება საქმისა 1878 წლის საქმის ვითარებისაგან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველივე მშვიდობიანად გათავდება.

პოტსდამი. გრაფი შუვალოვი რუსეთს წავიდა. გრაფი ამ ჟამად კარგად არის.

ათინა. ამბობენ, რომ მოლაპარაკების საქმე შემდეგის პირობებით გათავდება: საბერძნეთმა უნდა გადაიხადოს 4 მილიონი სამხედრო საზღაური და სამზღვრები უნდა შესწორდეს. საბერძნეთის კრედიტორები მზად არიან, თურმე, გადაიხადონ სამხედრო საზღაური, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ ხელში გადავიდეს ეხლანდელ მონოპოლიებისაგან შემოსავალი და აგრეთვე შემოსავალი თამბაქოსა და ღერბის ქაღალდებისაგან. გარდა ამისა კრედიტორები თხოულობენ, რომ ზემოხსენებულ შემოსავალთა საქმეს განაგებდეს საგანგებო კომისია, რომელშიაც მათ თავისი სამი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ.

ახალი ამბავი

⁂ **ქ. ოდესაში პედაგოგიურის კურსების დაარსების გამო.** უწმინდესის სინოდის გადაწყვეტილებით ქ. ოდესაში 25 ივნისიდგან 10 აგვისტომდე გახსნილი იქმნება საპედაგოგიო კურსები მეორე ხარისხის სახალხო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. ამ კურსებზე უნდა დაიბარონ 100-დე მასწავლებელნი, ხერსონის, კიშინევის და კავკასიის ეპარქიიდგან.

⁂ **ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე,** როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ, სხვა კანდიდატებთაშორის ასახელებენ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს იუ. ს. ლამბაროვს.

⁂ **ძველის ტანისამოსით ვაჭრობის შესახებ.** ამას წინათ ტფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომლითაც ძველის ტანისამოსით მოვაჭრეებს აღეკრძალებოდათ ვაჭრობა, თუ გასაყიდათ გამოტანილს ძველს ტანისამოსს სადეზინფექციო კამერის პლომბი (ბეჭედი) არ ექმნებოდა. მიუხედავათ ამ განკარგულებისა, დღემდე ერთი ხელი ტანთ საცმელიც არ წარდგენილა ვაჭართაგან სადეზინფექციო კამერაში შესამოწმებლად. ამის გამო ქალაქის თვით-მართველობამ 26 ივნისს ხელ-ახლად მიმართა თხოვნით პოლიცმეისტერს, დაავალეთ ყველა ნაწილის პოქაულები ხელის წერალი ჩამოართონ ტანისამოსით მოვაჭრეებს, რათა უკანასკნელებმა უპლომბო საქონელი არ გაყიდონ.

⁂ **სწავლისა და გამოცდის შესახებ.** სახალხო განათლების სამინისტროში ამ ჟამად იკვლევა ის კითხვა, რომ დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში საზაფხულოდ უსათუოდ შეწყდეს სწავლა-საქმობა და გამოცდა 1-ლ მაისიდამ, ხოლო შემოდგომაზე დაიწყოს 1-ლ ენკენისთვიდამაო.

⁂ **სასოფლო სკოლებში წარმოდგენების გამართვის აღკრძალვა.** სახალხო განათლების სამინისტრომ ბრძანა, რომ სასოფლო სკოლებში წარმოდგენების გამართვა უნდა აიკრძალოსო, რადგან ასეთი წარმოდგენები ეწინააღმდეგება როგორც სარწმუნოების, აგრეთვე ზნეობის მხარეს სასოფლო სკოლებისასაო.

⁂ **ზეპირ-სიტყვაობის ფონდის შესახებ.** 1897 წ. ივნისის 15 დღესა, შესდგა ზეპირ-სიტყვაობის ფონდის კომიტეტის წევრთა კრება. კრებამ დაადგინა, რომ შეგროვილი ფული ზეპირ-სიტყვაობისა გადაეცეს „კრებულის“ რედაქციას „კვალის“ რედაქციისაგან. ამასთანავე რაოდენობა ამ საგნისთვის შეგროვილ ფულისა, შემომწირველთა სიითურთ და აგრეთვე დანახარჯი ფულისა—დაიბეჭდოს როგორც „კრებულის“ პირველ №-ში, აგრეთვე სხვა გაზეთებშიაც. ამ დადგინების ძალით „კვალის“ რედაქციამ სცნა თავის თავი მოვალედ, გადაეცა ერთ-ერთ კომიტეტის წევრისათვის, სახელდობრ—ალ. გარსევანიშვილისათვის, როგორათაც ანგარიში ყოველის შემოწირულის ფულებისა, ისე ფულის სარგებლისა, მოხდენილი ხარჯის გამორიცხვით.

„კვალის“ რედაქციაში შემოვიდა 1081 მ. 50 კ., ამისი სარგებელი 55 მან., სულ—1136 მან. 50 კაპ., ამ ფულიდგან დაიხარჯა სხვა-და-სხვა ზეპირ-გადმოცემების დოკუმენტების შესაძენად, სოლომონ მეფის ხელნაწერის დასაბეჭდად აგრეთვე სხვა წვრილმანი ხარჯი—187 მან. 83 კ.

ამ ხარჯ-გამოკლებით დარჩა 948 მან. 67 კ. ეს ფული „კვალის“ რედაქტორმა ჩააბარა ალ. გარსევანიშვილს «კრებულის» რედაქციისათვის გადასაცემად. შემომწირველთა სია უკვე დაბეჭდილია „კვალის“ მე-26-№-ში. დაწვრილებით სიას-კი თვითონ თავ. აკაკი დაბეჭდავს «კრებულში».

P. S. 24 ივნისს, 1897 წ. მე გადავეცი «კვალის“ რედაქციაში შეგროვილი ფული 948 მან. 67 კ. თავ. აკაკი წერეთელს ფულის მიღების ბარათის ჩამორთმევითო.

ზეპირ-სიტყვაობის ფონდის კომიტეტის წევრი ალ. ალ. გარსევანიშვილი.

⁂ **ნათლუღიდგან საყასბომდე გზის გაყვანა.** ქალაქის მართველობა უკვე შედგომია ნავთლუღიდგან საყასბომდე გზატკეცილის გაყვანას.

⁂ **ს. ოჟიოს მცხოვრებზე ხვედრი ხარჯის განაწილება.** რადგან სოფელ ოჟიოს მცხოვრებთ 1895 წელში ზარალი ნახეს ცუდის პურის და ღვინის მოსავლითაო, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს გადაუწყვეტიათ, ამ სოფელზე დარჩენილი სახელმწიფო გადასახადი 434 მ. 50 კ. განაწილებულ იქმნას სამ წილად და სამის წლის განმავლობაში 1898 წლის 1-ლ იანვრიდგან დაიწყონ გადახდაო.

⁂ **დაზარალებულ სოფლების მცხოვრებთა თხოვნა გუბერნატორისადმი.** დუშეთის და გორის მაზრის რამდენსამე სოფლებს უთხოვნიათ ბ-ნი გუბერნატორისათვის, მეტის მეტად დავზარალდით სეტყვითაო და რაიმე შემწეობა აღმოგვიჩინეთო.

⁂ **კეთილი მიბაძვა.** ქალაქის თვით-მართველობამ 26 ივნისს ქაღალდი გაუგზავნა მოსკოვის ქალაქის თვით მართველობას, რომლითაც სთხოვს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ნიადაგზედ არის გამართული და მოწყობილი მოსკოვში სამრეცხველო სახლი, რომ იმის კვალობაზე აქაც, ტფილისში გაიხსნას ეგეთი სახლი, სადაც ყოველგვარი თეთრეულობა გაირეცხება, მეტადრე სამკურნალოებისა.

⁂ **ამბულატორიის საქმის გახსნის გამო.** ტფილისის ქალაქის საბჭომ წარსულს წელს დაადგინა, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების სახსოვრად კუკიაში იქმნას გახსნილი ახალი სამკურნალო ამბულატორიისა (სადოსტაქარო). ესეთი დადგენილება საბჭომ წარუდგინა კავკასიის სამკურნალო მართველობას დასამტკიცებლად, მაგრამ დღემდეც კი არ დაუმტკიცებიათ, მაშინ, როდესაც სადოსტაქრო სამკურნალოს გახსნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქის იმ ნაწილისათვის.

⁂ **ვექილის კ. პლუშჩევსკის საჩივარი თ. კ. ი. მუხრან-ბატონზედ.** ვექილს პლუშჩევსკის საჩივარი შეუტანია ტფილისის ოლქის სასამართლოში თ. კონ. ივ. მუხრან-ბატონზე და თხოულობს, გადაახდევინეთ ჩემს სასარგებლოდ 99 ათასი მანათიო. პლუშჩევსკი ამბობს თავის საჩივარში, რომ მე აწ განსვენებულმა თ. ი. კ. მუხრან-ბატონმა მომანდო თავისი ცოლ-შვილის საქმეების წარმოება, რისათვისაც გასამრჯელოდ დამინიშნა წლიურად 5 ათასი მანათიო 10 წლის განმავლობაში და ამასთან ბინა, ან და ბინის ნაცვლად 1500 მან. წელიწადში. ხოლო 1882 წლიდგან სრულიად ერთი გროშიც არ მიმიღიაო, ამბობს პლიუშჩევსკი თავის თხოვნაში. ამის გამო თ. ი. კ. მუხრან-ბატონის მემკვიდრემ უნდა მიზღოს 50 ათასი მანათი (10 წლის ანგარიშით საქმის წარმოებისა) 15 ათასი მანათი სახლის ქირა; ეს შეადგენს 65 ათასს მანათს და დანარჩენს 34 ათასი მან. შეადგენს სარგებელი 65 ათას მანეთზეო. საჩივარი სწორედ რომ უცნაურია და ძრიელა ჰგავს ბ-ნ პლუშჩევსკის.

⁂ **შემოწირვა საეტნოგრაფიო ნივთებისა.** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მუზეუმს ბ-ნმა თ. სახოკიამ, სხვათა შორის, ორი ნივთი შესწირა, საეტნოგრაფიო ხასიათისა, სამურზაყანოდან ჩამოტანილი.

1) **ერთი წყვილი პატარა რქების მსგავსი ნივთები,** ეგრედ წოდებულის „მამლის ყანწების“ ოდენეები, ვერცხლისა და ერთმანერთზე ნახევარ ალაბის ვერცხლისავე ძაფით გადაბმული. ამ ნივთს სამურზაყანოელები ილორის წმ. გიორგის (აფხაზეთშია) შესაწირავადა ხმარობენ. მაგალითად, ავადმყოფობის დროს შეჰპირდებიან ილორის წმ. გიორგის, თუ მავანსა და მავანს მოგვირჩენ, შენს კარზე (ე. ი. ილორის ეკკლესიაში, სადაც წმ. გიორგის ხატი ასვენია) ვერცხლით რქა-მოჭედილ ხარს მოგიყვანთო. ავადმყოფი რომ მორჩება, ნათესავნი იშოვნიან ხარს, ოქროს მჭედელს დააჭედვინებენ ვერცხლს ზემო აღნიშნულის ფორმისას, ხარს რქებზე წამოაცმევენ და წაიყვანენ ილორის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც ეს ვერცხლი ეკკლესიის საკუთრებად რჩება. ვერცხლის ძაფი, რომელიც აერთებს ამ ორს პატარა რქას, ხარის მოსაყვან თოკის მაგიერია.

2) **ვერცხლის ძაფი ადამიანის სიგრძე.** ამასაც ავადმყოფობის დროს შეჰპირდებიან ილორის წმ. გიორგის ხატს. თუ ავადმყოფს მოგვირჩენ, მის (ავადმყოფის) სიგრძე ვერცხლს შემოგწირავთ, შენმა მადლმაო. იმასკი არ იტყვიან, თუ ვითარის სიმსხოის იქმნება ეს ვერცხლი.

⁂ **ქ. პეტერბურგი. სამხედრო იურიდიულ აკადემიაში კურს დამთავრებული ქართველი.** წლეულ სამხედრო იურიდიულ აკადემიაში კურსი დაამთავრა ერთმა ქართველმა პორუჩიკმა პეტრე ივანეს-ძე მანსვეტაშვილმა. ბ-ნმა მანსვეტაშვილმა პირველის ხარისხით დაამთავრა სწავლა და ყველა საგნებში „12“ მიუღია.

⁂ **დ. ლანჩხუთი.** (გურია) **საქალებო სკოლა გვინდა!** არ იქნა და არა რამდენი დრო მიდის, მაგრამ

ჩვენი ქალების სწავლა-განათლებას არაფერი ეშველა. ჩვენ ხალხს ისიც-კი ვერ წარმოუდგენია თუ ქალისთვინაც ისეთი საჭირო სწავლა, როგორც კაცისთვინ. ამათში მხოლოდ ის აზრი ტრიალებს; კაცმა ისწავლოს ორიოდე ანა-ბანა, თორემ ქალისთვინ რაღა საჭიროა! ბატს და ინდოურს ისედაც კარგათ გაზრდისო... სამარცხვინოდაც კი მიაჩნიათ იმისი თქმა, რომ ქალმა წერა-კითხვა ისწავლოსო. ასე ჰგონიათ, თითქოს ნასწავლი ქალები მეტი ცუდის ყოფაქცევის გამოდიოდეს ცხოვრებაში,ვინემ უსწავლელნი. ამის მიზეზით დღეს ჩვენს დაბაში და გურიის სხვა დაბა სოფლებშიაც ქალების ერთმა მესამედმა არც კი იცის წერა-კითხვა.

წარსულ სექტემბერში აქ ბ-ნ წითლიძის მეთაურობით გაიხსნა, სავაჟო სკოლაში საქალებო განყოფილება და სადილის შემდეგ ე. ი. იმ დროს, როცა თავის მეცადინეობას მორჩებოდნენ მასწავლებლები, სამ-ოთხ საათს ასწავლიდნენ ქალებს და ამ გვარად ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენმამე ახალგაზდა ქალებმა შეისწავლეს წერა-კითხვა; მხოლოდ საჭიროა მათთვინ მომავალშიაც სწავლის გაგრძელება, თორემ ასეთს პატარა ხნის საწავლას ბევრი არაფრის სარგებლობის მოტანა შეუძლია, რადგანაც ერთი წლის უკან ისევ დაავიწყდებათ, რაც ეხლა ისწავლეს და შეიძინეს.

აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ლანჩხუთისთვინ ერთ-კლასიანი საქალებო სკოლა მაინც, მაგრამ დღემდე ეს საჭირო საქმე უყურადღებოთ არის დარჩენილი და არავინ არ ჰფიქრობს მის განხორციელებას. ბევრს უსარგებლო ხარჯებს ეწევა აქაური ხალხი, ეს-კი უძნელდებათ თითო მანათის გადახდა, რომ თავიანთი ქალები სასწავლებელში აღზარდონ. იმედი უნდა ვიქონიოთ ახალის ბოქაულის ბ ნ ქავთარაძისა, რომ ამ საჭირო საგანს არ დასტოვებს უყურადღებოთ და როგორმე ლანჩხუთს შეუქმნის საქალებო სკოლას, რომლის შემწეობით ჩვენ, ქალებმაც შევიძინოთ სწავლა და შევიძლოთ თვალ-ყური ვადევნოთ ჟურნალ-გაზეთებს. ამითი, სწორედ რომ საუკუნო ძეგლს გაუდგამს ლანჩხუთს, რომელზედაც ამოუშლელათ წარწერილი იქნება მისი შრომა და ღვაწლი!

— **ბავშვის დახრჩობა დედისაგან.** ამას წინეთ ერთმა აქაურმა გლეხის ცოლმა თავის პატარა ბავშვი ღამით ადიდებულ ქაში ჩააგდო და დაახრჩო; დედის ამგვარი საქციელი სიგიჟეს მიაწერეს. რადგანაც, დიდი ხანია, ჰკუაზე შემცდარი ყოფილა, ყველა ოჯახში მყოფნიც თვალ-ყურს ადევნებდნენ, მაგრამ ასეთი სამწუხარო ამბავი დროზე ვერ გაიგეს.

მ. ე—ისა.

⁂ **ქ. გორი. ალ. კავსაძის კონცერტი.** ეს ერთი კვირა იქნება, რაც ქ. გორში ხმა გავრცელდა, ბ-ნი კავსაძე 20 თიბათვეს გორში კონცერტსა ჰმართავსო. მას აქეთ არ გასულა სულ ორი დღე, რაც გამოკრულ იქმნა განცხადებანი, რომელნიც გვაუწყებდნენ ხორის ჩამოსვლას ქ. გორში 20 თიბათვეს. რასაკვირველია, ყველას ძლიერ უხაროდა ბ-ნ კავსაძისა და მის ხორის ჩამოსვლა და მოსმენა ტკბილის ქართულის ხმებისა. მართალია, მათს ჩამოსვლამდის ბილეთები ბევრი არ დაყიდულა, მაგრამ ყველა იძახოდა: „ნეტა, ჩქარა ჩამოვლენ თუ არაო“? 20 თიბათვეს, როცა-კი დაინახეს ხორისტები, დარწმუნდნენ სინამდვილეში და სიხარულით აღარ იყვნენ.

დადგა კონცერტის დაწყების დროცა! მოაწყდა ბლომა ხალხი და დასხდა სკამებზე; აი, ამ დროს გაისმა ნელის სიმღერის ხმა,—ამ სიმღერით უნდა გამოსულიყვნენ მომღერლები; ყველა სმენად იყო გარდაქცეული. მთელის კონცერტის გათავებამდის მომღერალთ არ მოაკლდათ აუარებელი „ვაშას“ ძახილი და ტაშისცემა. მაგრამ როდესაც-კი დაიწყეს „მთაო გადმიშვი, გადმიშვიო“, მაშინ მაყურებელნი დიდს აღტაცებაში მოვიდნენ და სთხოვეს გამეორება.

ქ. გორის სამოსწავლო სემინარიის მასწავლებელმა ბ-მა გოგლიჩიძემ მიართვა ბ-ნს კავსაძეს ცოცხალი ყვავილების მშვენიერი გვირგვინი თეთრის ლენტით და შემდეგის ზედ-წარწერით:

„რა მომესმის მწყობრის გუნდის გალობა, ჰიცოცხლდება კვლავ დაკოდილი გული; არ შეუდრკე, გასწი, მიჰყე მაგ მიზანს, თუ გულით გსურს შენ მოძმის სიხარული“.

კონცერტმა კარგად ჩაიარა, ხალხი საკმაოდ დაესწრო და შემოსავალი ხარჯს გარდა ექვს თუმნამდე დარჩათ.

ალ. ალაზნისპირელი.

⁂ **დ. ახალ-სენაკი. ნიმუში დეპუტატების წესიერის მოღვაწეობისა.** ნათქვამია, „უსამართლობამ პალიასტომი დააქციაო“, სწორედ ასეა ჩვენი დეპუტატების საქმეც. ამ წლის დამდეგიდგან, ამ დალოცვილებმა, რაღაც ახალი ბეგარა გააწერეს ვაჭრებს: ვინც ვაჭართაგანი აქაურ რკინის გზის სადგურზედ ერთ მთელ ვაგონს რაიმე საქონელს მოიტანს, იმათ უნდა გადახდეს თითო ვაგონზედ თითო მანათი დაბის სასარგებლოდო. აქაურ მოვაჭრეებს ხშირად მოაქვთ სრული ვაგონი საქონელი და სხვათა შორის მეც ხშირად მომაქვს და კიდევაც მახდევინებენ თვითეულ ვაგონზედ თითო მანათს; ამაზედ მე უარი არ განმიცხადებია, რადგან—ამბობდნენ კანონიერ გადაწყვეტილობით გახდევინებთო და, ესეც რომ არ ყოფილიყო, რად ვიტყოდი უარს თუ-კი ჩემზედ მარტო არ იქნებოდა ეს გადასახადი. ეხლა, როგორც გავიგე, მათი მოქმედება კანონიერი არ ყოფილა და ამიტომ ვინც-კი უარს იტყვის, იმათ ვერაფერს უბედვენ, ხოლო ვინც არ ეწინააღმდეგებათ—ახდევინებენ, მაგრამ, ღმერთმანი, ჯერ არ ვიცით ვისი განკარგულებით გაგვეწერა ეს გარდასახადი და მართლა დაბის საჭიროებას ხმარდება, თუ.... ამიტომ, ურიგო არ იქნება, რომ ბ. ბ. დეპუტატებმა აგვიხსნან ეს ყოველივე და, თუ მათი განკარგულება კანონიერი და საფუძვლიანია (რასაკვირველია, ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს და არა მარტო ზოგიერთებისათვის), მაშინ დავემორჩილებით, თუ არა, და... ჩვენ იმდენი შეძლება ვინ მოგვცა, რომ უგზოუკვლოდ ვფლანგოთ ოფლით შეძენილი ფული!..

ხე-ტყის ქარხნის ნოქარი ვ. ჩხიკვიშვილი.

⁂ **სოფ. ფარახეთი. (რაჭა).** ბევრი რამ გაჭირვება აქვს საზოგადოდ რაჭველს გლეხს, შრომასა და მუშაობას არ ნაღვლობს, ოღონდ-კი ოჯახისა და სოფლის მოთხოვნილება თავის დროზე დააკმაყოფილოს, მაგრამ ხშირად საცოდავი გლეხი ისეთს მდიომარებაში ვარდება, რომ მის ბედს ძაღლი არ შეჰყეფს: რა არის მიზეზი ამისა?—მიზეზი ბევრი რამ არის, მაგრამ ერთ უმთავრესთაგან მიზეზად უნდა ჩაითვალოს გლეხის შევიწროება ზოგიერთა აზნაურისა და თავადის მეზობლობით; ჩვენის ფიქრით, გლეხს უნდა ამხნევებდეს „კეთილ შობილის“ მეზობლობა, მისს ზნეობრივს განვითარებაზე გავლენა ჰქონდეს, სწავლა-განათლების სურვილი ჩანერგოს მასში და საზოგადოდ გლეხის წარმატებაზე ზრუნავდეს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ეს ასე არ არის: ზოგიერთ აქაურს აზნაურებს დაუდევრობის გამო სრულებით გაუფლანგავთ თავისი ავლა-დიდება და ეხლა წასწვდნენ ბატონად გლეხებს და, ერთმა ღმერთმა იცის, რას არ ჩადიან. ადვილად წარმოსადგენია ყველასთვის, თუ რამდენად საძნელოა გლეხისათვის მუდამ იხადოს თითო-ოროლი მანათი აზნაურის სასარგებლოდ, თუ ვინიცობაა, გლეხის საქონელი აზნაურის ეზოში შევიდა როგორმე; ჩვენში საქონელს ყოველთვისა ჰყავს მწყემსი, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ საქონელი სხვის ეზოს არ ეწვიოს (ამისთვის საჭიროა ეზოს პატრონმა მაგარი ღობე შემოავლოს თავის მამულს), მწყემსებს იმიტომ ჰქირაობენ და ჰხარჯს ეწევიან, რომ საქონელი არ გადიკარგოს სადმე.

ამის გარდა ბევრი აზნაური უსასყიდლოდ სასმელ წყალსაც არ მისცემს გლეხს, თორემ სხვა დახმარებას თქვენი ჭირი წაუღია. ასეთის საქციელის გამო გლეხები ძრიელ გულდაწყვეტილნი არიან ზოგიერთ აზნაურებზე, მით უმეტეს, რომ ისინი ჭირსა და ლხინში ყოველთვის ერთგული მოსამსახურენი ყოფილან, არიან და იქმნებიან კიდეც; ყოველთვის მზად არიან, რითაც-კი შეუძლიათ, ასიამოვნონ, მაგრამ მათის გულის მოგება ადვილი არ ყოფილა, როგორც ვხედავთ! აქვე არ შემიძლიან, არ მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომელიც არა მარტო რაჭის მაზრის მკვიდრ-გლეხთა ჩააფიქრებს ხოლმე მწარედ: ეს გახლავთ ეგრედ წოდებული „დრამის ფული“, ორ-ორი მანათი თითოეულ გლეხის კომლზე წელიწადში, მოძღვრის სასარგებლოდ.... ეგ ფული გვხდება და შეძლებისა-დაგვარად ვიხდით, რადგან კანონიერ გარდასახადად მიგვაჩნია, მაგრამ განა-და შესაძლებელია, რომ უკანასკნელი თოხი ან ქვაბი წაართვან შეუძლებელს გლეხს, თუ დროზე ვერ გადიხადა „დრამა“?

ერთი გლეხთაგანი.

საოჯახო ჰიგიენა

შრომა და დასვენება. მოძრაობა და გიმნასტიკა. ძილი. რამდენი ხანი უნდა გვეძინოს. ლოგინი და მისი სისუფთავე. როგორი უნდა იყვეს ლოგინი.

ტანისამოსი გვიცავს ჩვენ სიცივისაგან, ამიტომ იგი ისეთ ნაირად უნდა იყვეს მოწყობილი, რომ შეეძლოს ჩვენი დაცვა ყოველგვარ ბუნების ცუდ გავლენისაგან. ყველაზე ცუდათ კაცზე დიდი სიცივეები და სიცხეები მოქმედებენ. ამისათვის საჭიროა ჩვენი ტანი შევაჩვიოთ მათს ატანას, თუმცა-კი ცნობილია, რომ კაცს დიდი სიცივის ატანა უფრო შეუძლიან, ვიდრე სიცხისა. თუ ტანი კარგად გვაქვს შეჩვეული ყოველგვარ სიცხე-სიცივის ატანას, მაშინ აღარაფრისა უნდა გვეშინოდეს. ამისათვის საჭიროა ყოველგვარ ამინდში გარეთ გამოვიდეთ ხოლმე და არაფერს შევუშინდეთ. ამასთანავე სიცივეში კარგი ჭამა-სმა უნდა გვქონდეს, რადგანაც, როგორც ვიცით, კარგი საჭმელი სითბოს გვიმატებს. ამიტომ ღარიბ-ღატაკნი ცივდებიან მარტო იმისაგან-კი არა, რომ ცუდათ აცვიათ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ცუდათ საზრდოობენ.

საუკეთესო საშუალებად სითბოს გასაძლიერებლად და ჯანმრთელობის დასაცველად სხეულის ვარჯიშობა-გიმნასტიკა ითვლება. იმათთვის, ვინც მუდამ ზის, ან გონებით მუშაობს, ყოველ დღე სუფთა ჰაერზე გასეირნებას და ვარჯიშობას უნდა შესწიროს, მაგრამ საქმის დღეებში გასეირნებას, საუბედუროდ, მარტო მოცლილ-უსაქმო ხალხის საქმედ სთვლიან. „ყველაფერი კარგად წავიდოდა და უფრო ჯანმრთელებიც ვიქნებოდით, რომ რაც შეიძლება ბევრს ვსეირნობდეთ სუფთა ჰაერზედაო“, ამბობს ზეიმე. მაშინ ფერ-მკრთალობა, რომელიც ასე ხშირი სტუმარია უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილებისა, სრულიად მოისპობოდა. ყველა ის კუჭის სატკივარი და ავადმყოფობები, სრულიად მოისპობოდა, რომ ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ ტანის ვარჯიშობას და სუფთა ჰაერზედ გასეირნებას.

ფიზიკურ მუშაობასაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც გიმნასტიკას, ამიტომ არის, რომ მიწის მომუშავენი, მჭედლები, დურგლები საზოგადოთ ჯანმრთელნი არიან და ცოცხლად გამოიცქირებიან. ზარმაცი კაცი თავის დღეში ჯანმთელი არ იქნება და მხოლოდ გონიერს მუშაობას შეუძლიან დაიცვას კაცი ავადმყოფობისაგან და მუდამ ჯანსაღად ამყოფოს.

ვარჯიშობის შემდეგ საყურადღებოა სუნთქვა და მაჯის ცემა. ჩვეულებრივი სუნთქვაა 16, რომელიც ჩქარის მუშაობის გამო ორჯელ და სამჯერ მეტადაც იქცევა ხოლმე. ასეთს ხშირს სუნთქვას არ შეიძლება ცუდი შედეგი არ მოჰყვეს, მეტადრე ზამთრობით. ხშირის სუნთქვით ჰაერი პირდაპირ ცივი ჩადის სხეულში და ფილტვებს დიდათა ვნებს. ამიტომ ერთხელვე უნდა ვიცოდეთ ხშირად სუნთქვის დროს, მაგალითად, მთაზედ ასვლაზედ ცხვირით უნდა ვისუნთქოთ და პირი მოკუმული გვქონდეს. ამ რიგად სუნთქვის დროს ჰაერი გამთბარი ჩადის სხეულში და აღარა ვნებს ფილტვებს.

ჯანმრთელობის დასაცველად საჭიროა დრო გამოშვებით დასვენებაც. თუ რამდენ ხანს შეუძლიან იმუშაოს კაცმა დღეში, ეს მრავალს მიზეზებზეა დამოკიდებული, თუმცა-კი ხანგრძლივმა გამოცდილებამ აშკარად დაანახვა კაცობრიობას რომ ათისა და თერთმეტის საათის მეტი მუშაობა არ შეიძლება, ჯანმრთელობის უვნებლად. ამ ხნის მუშაობის შემდეგ საჭიროა დასვენება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ძილი.

ძილის დროს ჰკუა-გონება და სხეული კაცისა ისვენებს; გულის ცემა, სუნთქვა კლებულობს და ახალ ძალის და ღონეს იძენს სხეული შემდეგი დღისათვის შრომის განსაგრძობად.

უმთავრესი მიზეზი ძილისა ჯერეთაც არ არის სისრულით აღნიშნილი. უნდა ვსთქვათ-კი, რომ ძილის მიზანი ქიმიური ცვლილებაა სისხლისა. რაც გინდა იყოს, კარგი მაგარი ძილი დიდი ბედნიერებაა კაცისათვის. მისი უარყოფა უფრო საძნელოა, ვინემ საჭმლისა. ამიტომ კარგი სამყოფი ძილი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კაცისათვის და მის ჯანმრთელობისათვის. ძნელია განვსაზღვროთ, თუ რამდენი ხანია საჭირო კაცისათვის ძილი, რადგან მრავალს სხვადა-სხვა მიზეზებზეა იგი დამოკიდებული. ძუძუს ბავშვებს უნდა ეძინოთ მთელი დღე ღამე, მოზარდ ბავშვებისათვის საკმარისი 12 და საზოგადოდ-კი ყველასთვის 7—8 საათი ყოველთვისა კმარა. 7—8 საათზედ მეტი ძილი-კი, პირიქით, სწყენს კაცს და ზარმაცად და ზანტადა ხდის.

რადგან ძილის დროს ლოგინში ვწევართ ხოლმე, ამიტომ საჭიროდ ვსთვლით იმაზედაც ორიოდე სიტყვა ვსთქვათ. ლოგინი იგივე გაფართოვებული და გადიდებული ტანისამოსია. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევვიძლიან ხეირიანად დავიძინოთ, როცა ლოგინი იმოდენად ფართეა, რომ თავისუფლად შეგვეძლოს გაჭიმვა და ისე არხეინად მოსვენება. ამასთანავე ცუდია იატაკზედ წოლა, რადგან ამ გვარად ადვილად ცივდება კაცი. ამასთანავე თავი კედლისაკენ არ უნდა გედოთ, რადგანაც სუნთქვა ძნელდება და თავისუფლად ველარ მოდის ახალი ჰაერი.

ლეიბი სქელი, მაგარი უნდა იყოს. საჭიროა, რომ ცხენის ბანლისაგან, ან ზღვის ბალახისაგან აკეთებდნენ ლეიბებს, რადგან ამგვარი ლეიბები დიდათ შველის კაცის ჯანსაღობას.

ცუდია აგრეთვე გერმისა და ბუმბულის ბალიშები, რადგანაც კაცს შესამჩნევად უხურებს თავს და ატკივებს. საბანიც ზომიერად თხელი უნდა იყოს და არა ისეთი უშნო სქელი, რომელიც ჩვენში ზოგიერთს ოჯახებში იციან ხოლმე.

საზოგადოდ ბუმბულის ქვეშაგებზედ უნდა შევნიშნოთ, რომ იმათ ვნების მეტი არაფერი მოაქვსთ კაცისათვის. მძინარეს აოფლიანებენ, სისხლის თავისუფლად მოძრაობას აყენებენ და ყოველგვარს ავადმყოფობას ხელს უწყობენ *).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი დედები სჩივიან—ბავშვები ღამ-ღამით საბანს იხდიან და (ცივდებიანო. ეს იმისაგან ჰხდება, რომ ბავშვებს მძიმე შეუფერებელს საბნებს ჰხურავენ. შეადარეთ ბავშვის წონა საბნისას და აშკარად დარწმუნდებით, რომ შეუფერებელი საბანი ჰხურებია ბავშვს.

დაწოლის დროს მთლად უნდა გატიტვლდეთ, გაიხადოთ პერანგი თავისის ამხანაგით და ისე დაიძინოთ. გახდილი პერანგი კი შორს უნდა დასდოთ ქარის გასავლელად. ქარი რომ გაუვლის პერანგს, მეორე დღეს სუფთას ჩაიცვამთ ახალ გარეცხილსავით. ფუფაიკით წოლა ხომ მთლად სისულელეა, რადგანაც ვნების მეტი არაფერი სარგებლობა მოაქვს.

შ. ფრონელი.

◆

---

*) Другъ семьи, Вокуловскаго.

296

ეროვნული

⁂ გურია. ღვინის კარგის მოსავლის მოლოდინი. წელს აქეთ ვაზს ისე სადად და კარგად ასხია, რომ „ავი თვალის კაცს სწორედ არ ენახება“. საკვირველი ისაა, რომ ჩვენებური ვაზიც გამოცოცხლებულია და თითქმის ისე ბლომად მოუსხამს, როგორც იზაბელას. ვინ იცის, შეიძლება ამ ჩვენმა სათაყვანებელმა მცენარემ აიტანა ხანგრძლივი ავადმყოფობა და ისევ ძველებურს ჯანზე დადგა. ამ ჟამად ჩვენებური ყურძენი უკვე დამარცვლულია და ცოტა ხანში ისვრიმადაც ივარგებს. მაშასადამე, საეჭოა, რომ ნაცარმა კვლავინდებურად დარიოს ხელი. რაც შეეხება იზაბელას ყურძენს, ის კარგა ხანია, რომ ისვრიმად სინჯეს. ივლისის შუა რიცხვებისათვის, ვგონებ, აქა-იქ კიდევაც დამწიფდეს. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ზენა-ქარი არ გვასვენებს და ზღვის ქარიც ისე გაგვითამამდა, რომ არ შეიძლება კვირაში ერთხელ არ გვინახულოს. ხოლო ერთი ღონიერი ქარი, ზენა იქნება თუ ქვენა, საკმაოა სრულიად ხელი აგვაღებინოს ჩვენს მოლოდინზე.

⁂ ოქიდამეე. ნაღვრები. ივნისის 14—15 წვიმის დანატრულებს გვეღირსა წვიმა, მაგრამ ვაი იმისთანა წვიმას! წვიმა კი არა, წარღვნა იყო. პატარა ღელეები დიდ მდინარეებად ადიქცნენ; მდინარეები ზღვას დაემზავსნენ და, რა თქმა უნდა, დიდი ზარალი დატრიალდა. განსაკუთრებით ვგანი ადგილის ყანები დაზიანდა, ოლო მათ შორის ლომის ყანები რთიანად ჩარეცხა გაფთრებულმა იალვარმა.

⁂ ქ. სიღნაღი. ორ-კლასიანი სამეურნეო სკოლა. 8-ს ამ თვისას ობრძანდა ქართულ ეპარქიის სამეურნიო საეკლესიო სკოლების ზედამხედველი ბ. ტატიშვილი. ბ. ტატიშვილმა 9-ს ამ თვეს მოახდინა ონასტრის მღვდლის სახლში კრება ლაგობრივ ეპარქიის სამოსწავლო ბჭოს განყოფილებისა თავისსავე ავმჯდომარეობით. კრებაზედ დაესწრნენ: ადგილობრივ განყოფილების ავმჯდომარე მ. მირიანოვი, წევრნი-ლაღოჩინები ს. შეგიევი, ამ. ბალავი და კ. ღვთისავაროვი. მღვდლები ვას. ნათიძე და ე. მენთეშაშვილი. ვა წევრნი სიღნაღის მაზრის უფროსი კ. შანშიევი, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი კ. ბალაევი, სიღნაღის სამხედრო ბეგრის დასებულების მდივანი ი. ქიტიევი ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ან. ნატროი და სიღნაღის მაზრის მომრიგე ლი შუამავალი ს. ანდრონიკოვი. ავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მინდობილი აქვს სიღნაღის მაზაში ერთ-ერთ ნახევარ მაზრისათვის ხსნას მეორე ხარისხის (второклассный) სასწავლებელი, მხოლოდ, ადგან მთავრობიდგან გარდაწყვეილი ფული საკმარისი არ იქნება ულებით დააკმაყოფილოს სასწავლებელი, დღეს მსურს მოვილაპარაკოთ იმის თაობაზედ, თუ საიდან და როგორ მოვაგროვოთ ეს საირო თანხაო და ან სად და რომელი საზოგადოებები მოვიწვიოთ დახმარებლადაო. კრებაზედ გაიმართა ჯა და თათბირი იმის შესახებ, თუ დ აირჩიონ სკოლისათვის ადგილი, ომელ სოფელში და რომელი საზოგადოებები გახადონ მოვალეთ ამ ნაკლი ფულის შესავსებათ. ყველას ერთბაშათ ეტყობოდათ ღრმა ფიქრი და მოსაზრება რიგიან და შესაფერ ადგილის ამოსარჩევათ ამ სასურველ ჩვენში პირმშო სასწავლებლისათვის, გარდა ორი წევრისა, რომელნიც თამამათ აცხადებდნენ, რომ ადგილი უკვე ამორჩეულ არის და სასწავლებელი უეჭველად საეპარქიო საბჭოს გარდაწყვეტილებით ზემო-მაჩხაანში უნდა გაიხსნასო. ამიტომ ამაზედ ბაასი და თათბირი სულ ტყუილი და ფუჭი არისო. გაგვაკვირვა ამ განცხადებამ, რადგან ეს გამოაცხადეს მ. ღვთისავაროვმა და ან. ნატროშვილმა, მით უმეტესს, რომ ჩვენ ბ. ნატროშვილისაგან უფრო პირუთვნელ და რიგიან დალაგებულს რჩევას მოველოდით და შემწეობასაც კითხვების გარდაწყვეტაში ამიტომ დამსწრეთ თითქმის ერთხმათ მიჰმართეს კითხვით ბ. ტატიშვილს და სთხოვეს აეხსნა: მართლა, ეს საკითხი გარდაწყვეტილია იმათ დაუკითხველად და მათ მარტო განგება ჰკითხვენ, თუ ჯერ მთლად გარდაწყვეტილი არ არის, როგორც ან. ნატროშვილი აცხადებს, და იმათს აზრსა და გარდაწყვეტილებას მნიშვნელობა აქვს და იმისთვის თხოულობენო? თავმჯდომარემ ბ. ტატიშვილმა აუწყა კრებას, რომ, თუმცა მართალია ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს სახეში აქვს სასწავლებელი გახსნას სოფ. ზემო-მაჩხაანში, მაგრამ ის უჩემოდ ვერ გარდასწყვეტს და მე ამიტომ მინდა გავარკვიოთ და გავიგო თქვენი აზრი, როგორც უფრო მცოდნეთა ადგილისა, თუ სად ემჯობინებაო. ბ. შანშიევმა სთხოვა თავმჯდომარეს, მაშ რაკი სკოლის ადგილი ჯერ ამორჩეული არა ყოფილა, როგორც ამტკიცებდა ან. ნატროშვილი, გთხოვთ გაგვაცნოთ რა უფლებისა და რა ტიპის სასწავლებელი იქნება და ან საზოგადოებიდგან რამდენს დახმარებას თხოულობენ, რომ იმის და კვალად მოვიფიქროთ და შესაფერი ადგილი ამოვარჩიოთ სასწავლებლისათვისაო. თავმჯდომარემ წაიკითხა სასწავლებლის პროგრამა, საიდგანაც კრებამ აშკარად დაინახა, რომ სასწავლებელთან აუცილებლათ უნდა იყოს სამეურნეო განყოფილებაც. ამასთანავე ბ. ტატიშვილმა აცნო კრებას, რომ სასულიერო მთავრობა ამ სასწავლებლისთვის აძლევს ერთხნობით სასწავლებლის შენობის ასაშენებლად 2 ათას მან. და ყოველ წლივ 1500 მან. იმ პირობით-კი, რომ საზოგადოებამ დაუთმოს სკოლას სამეურნეოთ, არა ნაკლებ 10 დღის მიწა და მისცეს დანარჩენი ფულიც, რაც შენობის ასაშენებლად დასჭირდება და მუდამ წლიურადაც 500 მან. მასწავლებლების ჯამაგირების გასაძლიერებლად, რათა შესაძლებელი იყოს უკეთესი მასწავლებელნი მოიწვიონ. ამის შემდეგ დაასახელეს წევრებმა რამდენიმე სოფელი როგორც; ბოდბის-ხევი, ფანიანი, ქვემო-მაჩხაანი და ნასომხარი სკოლისათვის და ერთხმად გარდასწყვიტეს სკოლის დასახმარებლად მოიწვიონ მთლად მთელი ქვემო-მაჩხაანის საბოქაულო, რომელიც შესდგება 9 საზოგადოებისაგან. ყველა აქ ჩამოთვლილ სოფლებზედ ბ. ან. ნატროშვილმა ყოვლად უვარგისად ჩათვალა და, წარმოიდგინეთ, იქამდინ მივიდა თავის მჭევრ-მეტყველობაში, რომ ნასომხარს უდაბნო სახალინიც-კი უწოდა და თხოულობდა, რომ უეჭველად სასწავლებელი ზემო-მაჩხაანში გაეხსნათ. როდესაც რამდენიმე წევრმა შენიშნა, რომ სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილება იქნება და სოფელი ზემო-მაჩხაანი კი სამეურნეოთ არ ვარგა, რადგან არა რომელიმე სასარგებლო მცენარე იქ არ ივარებსო, იგი რამდენსამე ხანს მოუნდა იმის დამტკიცებას, რომ სამეურნეო განყოფილება ქიზიყისათვის საჭირო სულაც არ არის და არც სავალდებულოა ამ სასწავლებელთან უთუოდ სამეურნეო განყოფილებაო. მაგრამ, როდესაც რამდენმამე წევრმა მიუგო, რომ აუცილებლად საჭიროა ქიზიყისათვის მეურნეობა, რის უტყუარ საბუთად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ამ ორ-სამ წელიწადს ქიზიყს ღვინო არ მოუვიდა და ხალხიც დავალიანდა და გაღარიბდაო და ზედამხედველმა ბ. ტატიშვილმა კიდევ მოაგონა, რომ პროგრამა ამ სკოლისა სავალდებულოდ ხდის სამეურნეო განყოფილებასაო, ბ. ნატროშვილმა თამამად განაცხადა, რომ ქიზიყში მეღვინეობის მიყოლა სულაც არ ვარგა, რადგან აბა მაჩვენეთ ქ. ტფილისში რომელ მარანს აწერია აქაური სახელიო და ხეხილი ხომ სულ არ არის ქიზიყში იმიტომ, რომ არ გვარობსო. თუ ვინიცობაა, არ დაგიშლიათ, სკოლა ზემო-მაჩხაანში გახსენით და ყმაწვილებს მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და საქონლის მოვლა-მოშენება შეასწავლეთ, რომელიც უფრო საჭიროაო. ბ. შანშიევმა მიუგო, რომ ქიზიყში თუ ხილი არ არის, ეს იმის მიზეზით, რომ არ მისდევენ და არა რგავენ, ღვინო ქიზიყში კარგი მოდის და ის საბუთი არ არის, რომ ტფილისში სარდაფებს არ აწერიათ აქაური სახელი—იქ უფრო გამოჩენილ სოფლებს რჩეობენ და სკოლაც არ მოხერხდება ზემო მაჩხაანში—რადგან იგი ჯერ ერთი განცალკევებული სოფელია და მეორეც ისა, რომ წყალი არ არის იქ. სასწავლებლისთვის-კი წყალი აუცილებელ საჭიროებას შეადგენსო. სხვა არა იყოს რა, შენობის იატაკებს გარეცხა და ბავშვებს სისუფთავე დასჭირდებათ და იქ დასალევ წყალსაც ვერ იშოვიანო.

ამ აზრისანი იყვნენ დანარჩენნიც, გარდა თვით ანტონ ნატროშვილისა და ბლაღოჩინ ღვთისავაროვისა. კრებამ, ხანგრძლივის ლაპარაკისა და თათბირის შემდეგ, გარდასწყვიტა ხმის უმეტესობით, სასწავლებელი ააშენონ სოფელ ფანიანში, მხოლოდ, რაკი სასკოლო ადგილი კერძო კაცისა იყო და ეს ადგილი ზოგიერთ წევრებთ კარგად არა ჰქონდათ დათვალიერებული, დაადგინეს იმავე დღეს ეთხოვნათ ადგილის პატრონისათვის ბ. ჯალიევისათვის ეს ადგილი და მეორე დღეს დაეთვალიერებინათ ადგილი ადგილობრივ და კრებისთვის მოეხსენებინათ თავიანთი აზრი. პროგრამის მიხედვით, მოსწავლენი სულ პანსიონში უნდა იყვნენ, ამიტომ მოსწავლის პატრონმა უნდა შეიტანოს ფქვილი და სხვა ხორაგეულობა. რადგან ეს წესი კრებამ უვარგისად იცნო და უხერხულად ჩვენი ხალხისათვის, ამიტომ გარდასწყვიტეს სულ ფულად ექცივნათ და წელიწადში თვითეულ მოწაფეზედ 60 მან. გარდაწყვიტეს პანსიონში საცხოვრებლად. ამ დღით კრება ამითი დაიშალა საღამოს 9 საათზედ. მესამე დღეს, დილის 11 საათზედ კრება გაიხსნა. კრებაზედ დაესწრნენ ისევ იგივე წევრნი. კომისიამ მოახსენა კრებას, რომ ბ. დავით ჯალიევი თავის ძმის-წულებით უთმობს უსასყიდლოდ 5 დღიურ მიწას, დანარჩენ ადგილსაც გლეხები უთმობენ იმ პირობით-კი, რომ მიეცეთ მათ ნაფასური კაკლებისა (23 ძირია) და სხვა ხეხილისა, რომელიც იქ ეტანება. ამასთანავე გამოაცხადეს, რომ ეს ადგილი საუცხოვოა და შესაფერიც იმ მომავალ სასწავლებლისთვისო. კრებამ თანახმობით, გარდა ბლაღოჩინ ღვთისავაროვისა და ბ. ნატროშვილისა, ერთხმად გარდასწყვიტა სასწავლებელი სოფელ ფანიანში ააშენონ, გლეხებს მისცენ ნაფასური ხეხილების, მანამ შენობას ააშენებენ სასწავლებლისთვის, კერძო სახლი დაიქირავონ და ენკენისთვეში უეჭველად სწავლა დაიწყონ. ამის გარდა მიანდეს განყოფილების წევრს და მაზრის უფროსს ბ. შანშიევს, რათა მან შეადგინოს სოფლელების განაჩენები და ფულიც შეაგროვოს, რაზედაც ბ. შანშიევმა თანხმობა გამოაცხადა და აღუთქვა მარიამობისთვის გასვლამდის ყველა რიგიანად შეასრულოს. კრება ამითი დაბოლოვდა და მომავალი სასწავლებლის ბედ-იღბალი ჯერხნობით ესე გარდასწყდა. კრება დაიშალა შუადღის 3 საათზედ.

გ. იესეევი.

⁂ ს. ვანი (იმერეთი). სიბინძურე. ურიების უბანი, როგორც მოგეხსენებათ, მდებარეობს სამტრედიის რკინის გზის სადგურიდან ოცის ვერსის მანძილზედ. სოფ. ვანს უკანასკნელ ხანამდე უგზოობით სული ხდებოდა. ამ გზის დაახლოვებულმა საზოგადოებამ თავიანთის მამასახლისის თაოსნობით გააკეთა მშვენიერი გზატკეცილი, რომელზედაც ყოველს მგზავრს იოლათ მიაჩნია ურიების უბანსა და სამტრედიას შუა მოგზაურობა. გაიმართა კიდეც ამათს შუა დილიჟნებისა და ეტლების მიმოსვლა და ისე ადვილად მიჰყავ მოჰყავს კაცი, რომ მეტიც აღარ შეიძლება. ეს ხომ კარგი, მაგრამ სწორედ წარმოუდგენელია ურიების უბნის უსუფთაობა: ისეთი მყრალი სუნი დგას და ისე აყროლებულია მთელი ბაზარი, რომ თუ მგზავრმა ცხვირ-პირი ცხვირსახოცით არ აიხვია, ისე იქ გავლა გაუჭირდება. გასაკვირველია, რად უნდა იყვეს აქ ასეთი უსუფთაობა, როდესაც შეიძლება სისუფთავის დაცვა მდინარე სულორის წყალობით, რომელიც ამ უბანს ჩამოუვლის! მაგრამ ამ უბანს ყურის მგდებელი არავინა ჰყავს. უსუფთაობა საშიშოა ამ ზაფხულში, რადგან შეიძლება ისეთი სენი გაჩნდეს, რომ მერმე ძნელი მისაშველებელი შეიქმნეს. როგორც გავიგე, ასეთის უსუფთაობის მიზეზი ყოფილან თვით ურიები, რომლებიც ცოლ-შვილით შიგ ბაზარში სცხოვრებენ და აბინძურებენ იქაურობას. ყოველსავე ამას საჭიროა ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს.

⁂ ს. ტყემლუანა. (ზემო იმერეთი). ყაჩაღის თავ გასულობა. წინა დღეებში აქაურ მღვდელს თ. ჩძ—ეს მოუვიდა ვიღაც უცნობი პირისაგან უსახელო წერილი, რომელშიაც უთვლის: „ოთხი წლის წინათ რომ შენგან ცხენი *) წავიყვანე იმას მოგგვრი და შენს ქალიშვილს წავიყვან, თუნდა ძლიერადაც გეწყინოსო. ამ ამბავმა ჩ—ძე, რა თქმა უნდა, შეაწუხა და თავისი ქალი სადღაც გახიზნა.

იმედია, ადმინისტრაცია ჯეროვანს გამოძიებას მოახდენს და იმ თავ-გასულს ვაჟბატონს არ დასტოვებს დაუსჯელად.

ჯერ-ჯერობით აქ ვენახების დანახვა გესიამოვნებათ: კარგათ ასხია, ამინდებიც ხელს უწყობს.

⁂ ს. ჭაგანი. (იმერეთი). წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ. აქ ვაარსებთ სახალხო წიგნთ-საცავსა და სამკითხველოს; აქ თავად-აზნაურობაში-კი არა, გლეხებშიაც იშვიათად შეხვდებით, რომ წერა-კითხვა არ იცოდნენ. კითხვისადმი მისწრაფებაც დიდი აქვთ აქაურებს: ყველანი სიბეჯითითა და გულ-დასმით ადევნებენ თვალ-ყურს ჟურნალ-გაზეთებს. როდესაც ვინმე ახალ წიგნს მოიტანს, ჩვენი „კითხვის მოყვარენი“ ერთი-მეორეს ასწრებენ: „ჯერ მე მათხოვე შენი წიგნიო“. როდესაც ბაასი სამკითხველოს გახსნაზედ ჩამოვარდება, ყველანი მხიარულებით ამბობენ სათითაოდ: „ჩემის მხრით, რაც შეიძლება, დიდის კმაყოფილებით დაგეხმარებითო“, და როდესაც ვიტყვით: აბა შევაგროვოთ რამეო—თითოეულად იტყვიან: ჯერ სხვისგან აიღეთ და ჩემგან ხომ უსათუოდ იქნებაო. კარგი იქნებოდა, ჩემის აზრით, რომ გავლენიანი პირნი, მაგალითად: მომრიგებელ შუამავალი, ბლაღოჩინი, ბოქაული და სხვ., მიიღებდნენ შრომას და აუხსნიდნენ ხალხს წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს დაარსების საფუძვლიანობას და საჭიროებას. და, იმედია, სოფლის საზოგადოება მაშინ უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდება ამ კეთილი საქმის განხორციელებას. ორი ანუ სამი გაზეთის გამოწერაზე, არა ნაკლებ ერთი თუმნისა წიგნებით და ამდენივე ფულით შეწირვაზე, აგრეთვე შეძლებისა-და გვარად ნიადაგ მზრუნველობაზე ჭაგანის მომავალ სამკითხველოსათვის ჩემის მხრით მზათა ვარ. რამდენიმე წიგნები შემოწირულიც არის და რამდენიმესი კიდევ სრული იმედი გვაქვს (შეგვპირდნენ).

ჭაგანის სკოლის მასწავლებელი პართენ
ალმასხანის ძე ქაჯაია.

⁂ ს. ჭაგანი. ერთის ამბავის გამო. ბატონო რედაქტორო! გთხოვ უმორჩილესად აცნობოთ თქვენი პატივცემულის გაზეთ „ცნ. ფურცლის“ საშუალებით მკითხველებს, რომ „ია“ ჩემი ფსევდონიმი არ არის და ჭაგანიდამ კორესპონდენცია იქაურ ზარმაცობაზედ მე არ დამიწერია, ამასთანავე პასუხიც ბ. „ია“-ს. 225 №-ში თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურც.“ დასტამბულია კორესპოდენცია ს. ჭაგანიდან, სადაც თითო ქალი და კაცი მარტო სხვადა-სხვა გართობაში ატარებენ დროს. ეს კორესპონდენცია სიმართლეს მოკლებულია მისთვის, რომ ჭაგანში,

---

*) ოთხი წლის წინედ იმ მღვდელს მართლა მოჰპარეს შესამჩნევი თოხარიკი ცხენი, რომლის ძებნაზედ ბევრი დახარჯა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამაოდ. ის ქურდი რომ გამბედავი ყოფილა, იქედანაც სჩანს, რომ მღვდელს ცხენი დღისით მოჰპარა.

შეიძლება, ხანდისხან (კვირაში ერთხელ ან ორჯელ) თამაშობენ, მაგრამ ეს ხომ მარტო ჩვენში არ არის: ყოველი ხალხი მუშაობის შემდეგ რამეთი გაერთობა. რაც შეეხება ქალიშვილებს—ისინი ძლიერ სამაგალითოდ ატარებენ დროს ესე იგი საქმის დროს საქმობენ და თავისუფალ დროს, რომ იმათ ერთი-ორი საათი ითამაშონ, ამას არც თვითონ ბახუსი იწყენს. ბ-ნო „ია“! სოფელში რომ ერთი ანუ ორი თუ გინდ ზარმაცობდეს, იმისთვის ყველასთან რა საქმე გაქვსთ! შე დალოცვილო, გაცილებოდი ჰაგანს და უფრო მეტს მასალას იშოვიდი გაზეთში ჩასაწერად, რადგანაც ჰაგანი და მისი მახლობელი სოფლები, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „აიაზმის“ წყალით სასხურებელია: ცხოვრებაზედ დაკვირვებაში, მეცადინეობაში, სისუფთავეში და ზნეობის უბიწობაში ბარე ორი სოფელი ვერ წამოჰკრავს ხელს ჰაგანს. კიდევ:—რომ სწერთ: „ქოსა და მაქოსაო“—რითმა რომ გამოვიდეს იმისთვის „ელა, მელა, ჩიკორტელა“-კი არ უნდა იძახოთ, არამედ, აზრიც და სიმართლეც უნდა გამოდიოდეს შიგ, თორემ, აბა ერთი დაგვისახელეთ, რომელია ჰაგანში შეხედულობით საძრახისი და ნამეტურ ქოსა, რომელი გვირევია!? ორსა სიტყვას მოვახსენებ კორესპონდენტს „ია“-საო; საქმის შემდეგ დიახ ვამბობთ „დელი-ოდელიასაო“.

პარმენ ქაჯაია.

⁂ **სამტრედია.** უადგილო მ-ადლობის გამო. გაზ. „ცნობის ფურცელი“-ს მე-218-№-ში წავიკითხე კორესპონდენცია სამტრედიიდან აბრეშუმის პარკის ფასის აწევის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია ვითომ სოფლელები მადლობელნი იყვნენ ბ. აბრამიძისა; ამის შემდეგ (იხ. „ცნ. ფურ. № 223) წავიკითხე:—„აბრამიძე-კი არ არის მადლობის ღირსი, არამედ ბ. ჯანელიძეო“. დიაღ, მადლობის ღირსნი იქნებოდნენ ბ. ჯანელიძე და აბრამიძეც, რომ ისინი ყოფილიყვნენ მიზეზი პარკის ფასის აწევისა, მაგრამ ეს ბატონები სოფლელთა საკეთილდღეოდ მაინცა-და-მაინც თავს არ იწუხებენ და არ ზრუნავენ ისინი უფრო თავიანთის ჯიბეების გასუქებას სცდილობდნენ. გზავნიდნენ ხოლმე სოფლებში თავიანთ ჩარჩებს, რომლებიც, რასაკვირველია, ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, ნაკლებ ფასად ეყიდნათ პარკი და არც წონაში მოტყუილებას თაკილობდნენ; აბა, ერთი მიბრძანეთ, აგენტი ვისი ფასის ამწევ-დამწევია!.. ის თავისი ნავაჭრის გამსაღებელის ნაჩვენებ ფასზედ ვაჭრობს. წელს პარკს მართლა კარგი ფასი აქვს, ხოლო აბრამიძის და ჯანელიძის წყალობით-კი არა: ერთი, რომ ხალხი შეშინებული იყო შავ ჭირზედ ხმების გამო და აბრეშუმის მოყვანას ნაკლებად ჰკიდებდნენ ხელს; მეორე—პარკის მყიდველები შარშანდელზედ ბევრით მეტი არიან. ეგ მადლობები მით უმეტეს დაუმსახურებელნი არიან, რომ ისინი (ზემოხსენებული აგენტები), პარკის ფასის აწევას რომ გაიგებდნენ, მაშინვე აფრენდნენ სოფლებში ჩარჩებს და აგროვებდნენ პარკს, რომელზედაც არა ნაკლებ თითო ორ-ორი მანათისას გებულობდნენ ფუთზედ. აბა, საიდამა სჩანს აბრამიძის და ჯანელიძის სოფლელების შეძენაზედ ზრუნვა, როდესაც თვითონ არ. ანჯაფარიძე (წევრი ქუთაისის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის) დადიოდა სოფლებში და ხალხს ეუბნებოდა: „მე მივიღებ თქვენგან პარკს თერთმეტ მანათადო“ და ბ.ბ. აბრამიძის და ჯანელიძის წვრილი ჩარჩები-კი რვა ცხრა მანათად ყიდულობდნენ ფუთ პარკს, ამიტომაც აბრეშუმის პარკის ფასის აწევაში მადლობის ღირსია ბ. არტემ ანჯაფარიძე და არა სხვა ვინმე. *)

Cad.

---

*) პარკის ვაჭრობის და ფასის აწევ-დაწევის გამო ჩვენს რედაქციას მრავალი წერილები მოუვიდა და დღესაც მოსდის. ეტყობა, რომ სამტრედიაში, როგორც ან. აბრამიძეს, აგრეთვე ჯანელიძესაც ბევრი მომხრენი და მოწინააღმდეგენი ჰყოლია და ამიტომ ხან ერთს აქებენ და ხან მეორეს. ჩვენ დავეკითხეთ ჩვენს მუდმივ კორესპონდენტს და იმანაც ზემოდ მოყვანილი ამბავი მოგვაწოდა. რედ.

ქართულის შრიფტის შესახებ.

—

ამას წინად „ცნობის ფურცელში“ ერთმა უჩინარმა პედაგოგმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ახლანდელი გიგიენა მოითხოვსო, რომ წიგნები იბეჭდებოდნენ მსხვილი შრიფტით, რომელსაც სიდიდე მილიმეტრ ნახევარი უნდა ჰქონდესო. ეს შენიშვნა, რამდენადაც ჩვენ შეგვეხება, მტკნარი გაუგებრობის ნაყოფია, და აი რად.

ევროპასა დ რუსეთში იხმარება იმისთანა წვრილი შრიფტები, რომელიც ქართულს ენაზედ, ვგონებ, სრულიად არ არსებობს. ასეთია ესრედ წოდებული ნონპარელი და პეტიტი. პირველს აქვს ერთი მილიმეტრი სიდიდე, მეორეს მილიმეტრი და ერთი მეოთხედი ($1^{1}/_{4}$ მილ.). ნომერაციის მხრივ ნონპარელი იწოდება მეექვსე ნომრად, პეტიტი მერვე ნომრად. მათ მისდევს მესამე შრიფტი—კორპუსი, რომელსაც მილიმეტრ ნახევარი სიდიდე აქვს და შეადგენს მეათე ნომერსა.

წინედ ევროპაში წიგნები უმეტეს ნაწილად იბეჭდებოდნენ კორპუსით, ბოლოს ხანებში-კი ხმარებაში შემოიღეს პეტიტი და ნონპარელი ეკონომიის გულისათვის, რადგანაც ნონპარელი ერთი-ორად მეტი ეტევა წიგნის გვერდზე, ვიდრე კორპუსი. წიგნი, რომელსაც კორპუსის შრიფტით უჭირავს ოთხი თაბახი, ნონპარელით გამოდის ორი თაბახი, ჯდება თითქმის ერთი-ორად იაფად და იაფადაც ისყიდება.

თუმცა ეკონომიის მხრივ ძლიერ სასარგებლოა ორი ხსენებული წვრილი შრიფტი, მაგრამ თვალისათვის მძიმეა და მაზიანებელი. ამის გამო ნონპარელის და პეტიტის ხმარების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს უკანასკნელს წლებში ევროპის მეგიგიენეებმა და მათ შორის რემბოლდმა, ერთმა საუკეთესო ავტორიტეტმა. ამ უკანასკნელის აზრით, რათა სისაღე თვალებისას არა ევნოს-რა, საჭიროა პატარაებისათვის დანიშნული წიგნები იბეჭდებოდნენ № 12, ანუ ციცეროთი, და დიდებისათვის კორპუსით ანუ № 10. ციცერო მოზრდილი შრიფტია დ აქვს თითქმის ორი მილიმეტრი სიდიდე. ეს ის შრიფტი გახლავთ, რომლითაც არიან დაბეჭდილნი ყველა ჩემი სახელმძღვანელონი და იბეჭდებიან ჩვენში წიგნები, ჟურნალები, გაზეთები.—

რუსეთი, როგორც მოგეხსენებათ, მოწაფეა დღემდის ევროპისა და მის ფეხის ხმას აჰყვა ამ საქმეშიაც ბოლოს ხანებში. რუსებმა კორპუსით იწყეს ბეჭდვა არამც თუ დიდებისათვის დანიშნულის წიგნებისა, არამედ პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელოებისაც. მაგალითად, სტუპინის რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი დაბეჭდილია კორპუსით. ესევე შრიფტია ნახმარი მის საბავშვო ბიბლიოთეკაში, რომელსაც შეადგენს სამოცამდე წიგნი. პავლენკოს ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, ძლიერ გავრცელებული რუსეთში, აგრეთვე კორპუსით არის ნაბეჭდი. ბოლოს დროს პეტიტიც შემოვიდა ხმარებაში და ნონპარელსაც უთუოდ გამოუჩნდებიან მომხრენი. ერთი სიტყვით, ევროპასა და რუსეთში ეკონომიამ სძლია გიგიენას, ჯიბემ თვალსა.

ჩვენში? ჩვენში სრულიად წინააღმდეგი სენი იდგამს ფესვებსა. ამ სფერაშიაც ვიჩენთ ჩვენს განთქმულს ბედოვლათობასა. ქართულ შრიფტთა შორის არ მოიპოვება სხოლიოებისათვისაც-კი არც ნონპარელი და არც პეტიტი. არის მხოლოდ მომცრო შრიფტი კორპუსი, რომელიც თითქმის უხმარებლად აწყვია სტამბებში, თუმცა ვენის კორპუსი ძლიერ ლამაზი შნოიანი, და გარკვეული შრიფტია. ჩვენ მოგვწონს წყალ-მანკიანის ადამიანის მზგავსი წიგნები, რომელნიც გარედგან მტერს უყენებენ თვალსა და შიგნიდგან მოყვარესა.—

ავიღოთ, მაგალითად, დაბადება ანუ ბიბლია. ევროპაში იგი იბეჭდება ან პეტიტით, ან კორპუსით, ღირს ერთი მანეთი და ჯიბეში ატარებლის წიგნის სიდიდე აქვს. ამის გამო იქ ვერ ნახავ გლეხსაც-კი, რომელსაც შინ არა ჰქონდეს დაბადება, სახარება და თავისუფალს დროს არა კითხულობდეს არამც თუ შინ, გარეთაც-კი. ჩვენ-კი დაბადება დავბეჭდეთ ვეებერთელა შრიფტით, 16 ნომრით, გამოვიყვანეთ ურმით სატარებელ ტვირთად, ფასი დავადეთ ექვსი მანეთი და ხალხისათვის თითქმის აღკრძალულ ხილად შევქმენით. ჩვენებურს გაზეთებში არამც თუ მოწინავე სტატიები და ფელეტონები, თვით კორესპონდენციები და წვრილი ამბები იბეჭდება ციცეროთი და არა კორპუსითა, რის გამო ქართული გაზეთები ერთი ორად ღარიბნი არიან ცნობათა რაოდენობით ევროპიულსა და რუსულს გაზეთებზედ, რომელნიც უმეტეს ნაწილად კორპუსით და პეტიტით იბეჭდებიან. მდიდარი ევროპა ბეჭდვის საქმეში იცავს სასტიკს ეკონომიას, ღატაკი საქართველო-კი ეკონომიას უარს ჰყოფს და ბედოვლათობს.

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ეს სენი სასწავლებლებშიაც აპირობს შებრძანებასა და სილატაკის შეტანასა ქართულის ენის სწავლებაში. აქამდინ ქართული ანბანები იბეჭდებოდნენ მეთექვსმეტე ნომრით, პირველი საკითხავი წიგნი—მეთორმეტე ნომრით, ანუ ციცეროთი. ეს წესი ეთანხმებოდა ერთის მხრით გიგიენის მოთხოვნილებას, მეორეს მხრით ეკონომიას. სწორედ ამასთანავე შრიფტებით არიან დაბეჭდილნი საუკეთესო პირველ დაწყებითი სახელმძღვანელოები ევროპასა და რუსეთში. ახლა-კი გამოჩნდნენ ჩვენში პირნი, რომელნიც ანბანს ბეჭდავენ 24 ნომრით და პირველ საკითხავ წიგნსა—16 ნომრით. ეს მათთვის პირადად ძლიერ სასარგებლოა, რადგანაც პატარა და ღატაკი წიგნი იღებს სახეს დიდისა და მდიდარის წიგნისას და თვალს ატყუებს. გარედგან მტერს უყენებენ თვალსა და შიგნიდგან მოყვარესა. მაგრამ ხალხისათვის-კი, რასაკვირველია, ძლიერ მაზარალებელია. მეთექვსმეტე ნომერი იჭერს თითქმის ორჯელ მეტს ადგილსა, ვიდრე მეთორმეტე, ციცერო, და ერთი ორად დიდი გამოდის და ამის შესაფერად ფასიც ემატება.

ავიღოთ, მაგალილითად „დედაენა“. ანბანი მასში დაბეჭდილია მეთექვსმეტე ნომრითა და უჭირავს 32 გვერდი. აკრიბეთ იგი 24 ნომრით და გამოვა სამჯერ უფრო დიდი—96 გვერდიანი ანბანი. პირველი საკითხავი წიგნი „დედაენისა“ დაბეჭდილი № 12, შეიცავს თითქმის 200 გვერდსა. იხმარეთ მასში № 16 და მიიღებთ ვეებერთელა 400 გვერდიანს წიგნსა, რომელიც ბევრად ძვირად ეღირება—ახლანდელზედ.

ამიტომ ვინც ანბანს ბეჭდავს 24 ნომრით და პირველ საკითხავს წიგნს 16 ნომრითა, იგი პატარა წიგნს დიდად აჩვენებს ხალხსა, მცირე შინაარსში იღებს დიდს ფასსა, ქართულის ენის გაღატაკებას, შევიწროებას ეხმარება სკოლებში, რის გამო მისი მოქმედება უნდა აღიარებულ იქმნას უკუღმართობად.—

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ რამდენადაც წვრილი შრიფტია მავნებელი თვალისათვის, იმდენად მაზარალებელია ნორმას გადასული დიდი შრიფტი, რადგანაც თვალს აკლდება ვარჯიშობა მომცრო საგნების გარჩევაში. ეს ვარჯიშობა-კი ფრიად საჭიროა, რადგანაც ქვეყანაზედ მომცრო საგნები უფრო ბევრია, ვიდრე დიდები.

რა დასკვნა გამოდის ნათქვამიდგან? ისა, რომ ჩვენ წიგნების და პერიოდულს გამოცემების ბეჭდვაში უნდა დავიცვათ ერთი მხრივ თვალის სისაღე და მეორე მხრივ ეკონომია. ამის გამო ანბანები უნდა იბეჭდებოდნენ მეთექვსმეტე ნომრით, სახელმძღვანელო წიგნები და ჟურნალები—მეთორმეტე ნომრით, გაზეთებში ნახევარი ადგილი უნდა ეჭიროს კორპუსსა. კორპუსითვე უნდა ვბეჭდავდეთ ლექსიკონებსა, ქრონიკებსა, დაბადებასა, სახარებასა და სხვა დიდს წიგნებსა.—

მეთექვსმეტე ნომრის ხმარება შეიძლება სახალხო გამოცემებში მხოლოდ მაშინ, თუ წიგნი პატარაა და ციცეროთი არ გამოვა მთელი თაბახი.—

როგორც ცოტა თავ ცარიელს და ჯიბე ცარიელს ხალხს, ქართველებს ძლიერ გვიჭირს ცოცხალი შინაარსით გაჭიკნილი დ იაფ-ფასიანი წიგნები.—

იაკობ გოგებაშვილი.

ამიერ კავკასიის რკინის გზა.

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—სამგზავრო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამგზავრო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთ.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამგზავრო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუადღევს, ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Іюня 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ფილ. ზუნია.